
სარჩევი

- 1 სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივი ფორმები. გადასახადები და საგადასახადო შეღავათები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში**
 - 1.1** საქართველოში მოქმედი სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივი ფორმები
 - 1.2** სად და როგორ რეგისტრირდება სამენარმეო საქმიანობა
 - 1.3** გადასახადის სახეები, მათი განაკვეთები და გადახდის ვადები



F ფერმერული მეურნეობის მართვა

F3. სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივი ფორმები. გადასახადები და საგადასახადო შეღავათები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში

1 სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივი ფორმები. გადასახადები და საგადასახადო შეღავათები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში

წინამდებარე თავი შეისწავლის სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივ ფორმებს, მათ დადებით და უარყოფით მხარეებს, რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. მენარმე სუბიექტის საგადასახადო ვალდებულებებს და შეღავათებს აგროსფეროში


შეძენილი ცოდნა შეგედლებათ გამოიყენოთ შემდეგ პრაქტიკულ სიტუაციებში:

- სიტუაცია 1** თუ გესაჭიროებათ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს იურიდიული სტატუსის შერჩევა, თქვენ შეძლებთ შეაფასოთ, რომელი იქნება საუკეთესო;
- სიტუაცია 2** გეცოდინებათ, როგორ და სად დაარეგისტრიროთ სასოფლო-სამეურნეო საწარმო;
- სიტუაცია 3** შეძლებთ განსაზღვროთ, როდის და რა მოცულობის გადასახადები უნდა გადაიხადოთ.

სოფლის მეურნეობაში ყველაზე მარტივ მეურნეობის ფორმას წარმოადგენს — ნატურალური მეურნეობის ტიპი. მისი მთავარი დანიშნულებაა მესაკუთრის (მისი ოჯახის) დაკმაყოფილება წარმოებული პროდუქციით (სურსათით). გამომდინარე იქიდან, რომ უწყვეტი საწარმოო პროცესისთვის (კვლავწარმოებისათვის) აუცილებელია სხვადასხვა საწარმო საშუალების განახლება, აუცილებელი ხდება პროდუქციის გარკვეული ნაწილის რეალიზაცია. დღესდღეობით ნატურალური მეურნეობის ფორმის შენარჩუნება ძალზე რთულია. თანდათან მეურნეობის აღნიშნული ფორმა სასაქონლო მეურნეობის ფორმად გარდაიქმნა, რომლის მთავარ მიზანსაც პროდუქციის წარმოება წარმოადგენს მისი რეალიზაციის მიზნით (წარმოებული პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილია საკუთარი მოხმარებისთვის განკუთვნილი). მსგავს მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის მოცულობა მზარდია მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის ხარჯზე.

სასაქონლო მეურნეობები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება სიდიდით (დამუშავებაში არსებული მიწის სავარგულებით), გამოყენებული შრომის ფორმით (საკუთარი ან დაქირავებული), ორგანიზაციის გაძღოლის (მართვის ფორმის) მიხედვით და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ორგანიზაციული ნიშნის მიხედვით, ერთიანდება სამ ჯგუფში. ოჯახური-ფერმერული მეურნეობა, კოლექტიური და სამენარმეო-ანტერპრენიორული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები.



სამენარმეო საქმიანობის რომელი ფორმა ავირჩიოთ? - ეს მნიშვნელოვანი საკითხია!

სურათი 3-1



გრაფიკი 3-1: სასოფლო-სამეურნეო სანარმოთა ორგანიზაციული ფორმები
 ოჯახურ-ფერმერული მეურნეობა ერთი ოჯახის საკუთრებას წარმოადგენს, რომელსაც ეს ოჯახი თვითონვე მართავს.

კოლექტიური ფორმის სასოფლო-სამეურნეო სანარმოში არსებულ წარმოების საშუალებებზე გამოცხადებულია ერთობლივი საკუთრება. წარმოების ეს ფორმა შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. საქართველოს სოფლის მეურნეობაში მსგავს საწარმოო პროცესს ადგილი აქვს ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ერთობლივ გამოყენებაში.

სამენარმეო-ანტერპრენიორული საწარმო ხასიათდება პროდუქციის მაღალი წარმოების მოცულობით. საწარმოს მესაკუთრე უშუალოდ არ მონაწილეობს სხვადასხვა სამუშაოში, ის დებულობს მხოლოდ საკვანძო გადაწყვეტილებებს (საწარმოს მიმართულება, პროდუქციის წარმოების მოცულობა, თანამშრომელთა ხელფასები და ა.შ.). მსგავსი ფორმის საწარმოები გვხვდება სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი დონით გამოირჩეულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულია პირველი — ოჯახურ-ფერმერული მეურნეობის ფორმა.

შემდეგ თავში განხილულია საქართველოში არსებული სამენარმეო საქმიანობის ყველა სამართლებრივი ფორმა.

1.1 საქართველოში მოქმედი სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივი ფორმები

სამენარმეო საქმიანობის დაწყებამდე აუცილებელია, თითოეულმა ინდივიდმა-ფერმერმა კარგად შეისწავლოს ყველა ის სამართლებრივი ფორმა, რომელიც მოქმედებს ქვეყანაში და არჩევანი გააკეთოს იმ ფორმაზე, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება მისი (ან მათი) სამენარმეო საქმიანობის გეგმას დღეს და პასუხობს საქმიანობის მომავალ მიზნებსა და გამოწვევებს.

საქართველოში არსებული კანონმდებლობით „მენარმეობის შესახებ“ არსებობს სამენარმეო საქმიანობის (ბიზნესის) ორგანიზების შემდეგი ფორმები:

- ინდივიდუალური მენარმე (ინდ. მენარმე)
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)
- კომანდიტური საზოგადოება (კს)
- სააქციო საზოგადოება (სს)
- კოოპერატივი

გრაფიკი 3-2: საქართველოში არსებული სამენარმეო ფორმები

თითოეულ ჩამოთვლილ ფორმას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი თავისებურებები. ჩვენ სახელმძღვანელოში განვიხილავთ თითოეულს, თუმცა თემატიკიდან გამომდინარე, მეტ ყურადღებას დავუთმობთ ინდივიდუალური მენარმის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კოოპერატივის იურიდიულ ფორმებს.

ინდივიდუალური მენარმე

ინდივიდუალური სანარმოს დამფუძნებელი და მფლობელი ერთი პირია (ინდივიდუალური მენარმე — მაგ.: ფერმერი). მსგავს ფორმაში, შეიძლება, ხორციელდებოდეს დაქირავებული შრომა (თანამშრომლები — დიდნილად სეზონური სამუშაოებისთვის), თუმცა ფირმის წარმატებასა და წარუმატებლობაზე პასუხისმგებელი არის მისი დამფუძნებელი.

მენარმეობის აღნიშნული ფორმა ქვეყანაში ფართოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით, მცირე სამშენებლო საქმიანობაში, ვაჭრობაში, მომსახურებაში და სხვა.

ინდივიდუალური მენარმეობის იურიდიულ ფორმას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეები:

- ▶ რეგისტრაციის პროცედურების სიმარტივე. არ საჭიროებს ბევრ დოკუმენტაციას.
- ▶ დამოუკიდებლობა. აღნიშნული იურიდიული ფორმის მიხედვით, მენარმე-ფერმერს არ ესაჭიროება საკითხების ვინმესთან შეთანხმება, ის ერთპიროვნულად ღებულობს გადაწყვეტილებებს.
- ▶ საკუთრება. ყველა ის სიკეთე, რომელსაც მოგების სახით მიიღებს ფირმა წარმოადგენს, მხოლოდ დამფუძნებლის საკუთრებას, აქედან გამომდინარე, მას გააჩნია მაღალი მოტივაცია, მიაღწიოს რაც შეიძლება კარგ შედეგებს (ბევრი იმრომოს).
- ▶ მოქნილობა. გარემოში მომხდარ ცვლილებებზე შეუძლია მყისიერი რეაგირების მოხდენა და სხვა.

დაიმახსოვრე:

ინდივიდუალური მენარმე არის ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა სამენარმეო საქმიანობას, მენარმედ არის რეგისტრირებული რეესტრში და თავისი სამენარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.



- რეგისტრაციის სიმარტივე;
- დამოუკიდებლობა;
- საკუთრება;
- მოქნილობა და სხვ

სურათი 3-2

უარყოფითი მხარეები:

- ▶ პასუხისმგებლობა. ინდივიდუალური მენარმეობის იურიდიული ფორმა, მის დამფუძნებელს (ინდივიდუალურ მენარმეს) სრულ პასუხისმგებელს ხდის სანარმოს ვალებზე. აღნიშნული იურიდიული ვალდებულება ითვალისწინებს მენარმის პასუხისმგებლობას არა მხოლოდ სანარმოთი, არამედ მისი საკუთარი ქონებითაც.
- ▶ კაპიტალის მოძიების სიძნელე. ინდივიდუალური მენარმის მიერ კრედიტის მოძიება, დიდ ფირმებთან შედარებით, დაბალია. (კომერციული ინსტიტუტები, ინდივიდუალური მენარმის მხრიდან სესხის მომსახურების შესრულების შესაძლებლობას დიდი სიფრთხილით განიხილავენ).

- ▶ ერთპიროვნულობა. რთულია, ერთი პირი თანაბრად კარგად ერკვეოდეს წარმოების პროცესის ყველა სფეროში (წარმოება, მართვა, მარკეტინგი და ა.შ.), ასევე, სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით გამოირჩევა მაღალი ფიზიკური დატვირთვით, ამიტომ დიდი ალბათობაა, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში ინდივიდუალური მენარმე, სუბიექტური ან ობიექტური მიზეზების გამო, (ფიზიკური გადაღლილობა, ფსიქოლოგიური წონასწორობა)ვერ იყოს ჩვეულებრივად პროდუქტიული და წარმატებით ვერ მართოს საწარმო-ფერმა.
- ▶ მდგრადობა. ინდივიდუალური საწარმო წყვეტს არსებობას მისი დამფუძნებლის გარდაცვალებისთანავე.



- **პასუხისმგებლობა;**
- **კაპიტალის მოძიების სიძნელე;**
- **ერთპიროვნულობა;**
- **მდგრადობა.**

სურათი 3-3

ბიზნესის წარმოების აღნიშნული ფორმა განსაკუთრებით მიმზიდველია იმ პირებისთვის, ვისაც გააჩნია მკაფიო ინდივიდუალურობა და მენარმეობისთვის დამახასიათებელი თვისებები — სისხარტე, მოქნილობა და სხვა. თვითონ საქმიანობა არ არის მოცულობითი, არ საჭიროებს დიდ ფინანსებს და დასაქმებულთა დიდ რაოდენობას. ინდივიდუალური მენარმეობის ფორმა ხშირად გამოიყენება საქმიანობის საწყის ეტაპზე, მის ზრდასთან ერთად კი იცვლება მენარმეობის ფორმაც.



სურათი 3-4

✓ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)

მენარმეობის ფორმა — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს.) საქართველოში ყველაზე მეტადაა გავრცელებული. აღნიშნული მენარმეობის ფორმით, მენარმე ან მენარმეები, რომლებიც კომერციული საქმიანობის ფორმად შეარჩევენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მესამე მხარესთან პასუხისმგებლები არიან მხოლოდ ბიზნესში ინვესტირებული თანხით (პირადი ქონება დაცულია).

ინდივიდუალური მენარმეობის იურიდიულ ფორმისაგან განსხვავებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნება საჭიროებს მეტ დოკუმენტაციას. განსაკუთრებით საყურადღებოა წესდება, რომელიც უნდა შემუშავდეს ბიზნეს ერთეულის სამენარმეო რეესტრში დარეგისტრირებამდე.

წესდება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობისათვის მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. მასში განსაზღვრულია შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ▶ წილების ოდენობა (ორი და მეტი დამფუძნებლის შემთხვევაში);
- ▶ დირექტორის უფლებამოსილება და ვალდებულებები (დირექტორად შეიძლება დაინიშნოს, გარეშე პირიც);
- ▶ საზოგადოების კრებების განრიგი და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები;

დაიმახსოვრე:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს.), წარმოადგენს მენარმეობის იურიდიულ ფორმას. ის შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმა ან პირთა ჯგუფმა, რომელთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება შპს-ს მთელი ქონებით, ხოლო დამფუძნებლების პასუხისმგებლობა მათი წილების ოდენობით.

- ▶ ორგანიზაციაში მუშაობის, ახალი წევრების მიღების, წევრების და-
თხოვნისა და სხვა ღონისძიებები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მთავარი აღმასრულებელი ორგანო არის — დირექტორთა საბჭო (მრავალი დამფუძნებლის შემთხვევაში). დირექტორთა საბჭოს ორგანიზაციის დამფუძნებლების მიერ ენიჭება უფლებამოსილება. აღნიშნული ორგანო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორცაა:

- ▶ ორგანიზაციის მთავარი სტრატეგიების შემუშავება;
- ▶ ორგანიზაციის მმართველი სტრუქტურის განსაზღვრა;
- ▶ კაპიტალის გადიდების ან მისი წევრებზე გადანაწილების გადანყვეტილება და ა.შ.

დირექტორთა საბჭო, ირჩევს ხელმძღვანელს, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციას საჯაროდ. ხოლო კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას ანხორციელებს გენერალური დირექტორი. ზოგიერთ ორგანიზაციაში ერთი და იგივე პირი ითავსებს დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელისა და გენერალური დირექტორის მოვალეობებს.

ქვემოთ მოტანილ გრაფიკზე წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეები.



სურათი 3-5

	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებელთა შეზღუდული პასუხისმგებლობა
	ფუნქციონირების გაზრდილი დანახარჯები
	მოღვაწეობის დიდი მასშტაბები
	გადაწყვეტილებების მიღების ხანგრძლივობა (მეტი დრო)
	მდგრადობა. თაობების-მფლობელების იოლი ცვლა.
	მკაცრი სახელმწიფო კონტროლი.

გრაფიკი 3-3: შპს-სთვის დამახასიათებელი ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეები

როგორც თვალსაჩინოებაზეამოცემული, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის დამახასიათებელია, შედარებით დიდი მასშტაბის სამეწარმეო საქმიანობები, ინდივიდუალურ სანარმოსთან შედარებით, ხელმისაწვდომია დაკრედიტების წყაროები, თუმცა ახასიათებს, ასევე, რიგი ნაკლოვანებებს, როგორცაა შედარებით დაბალი მოქნილობა (გადაწყვეტილების მიღება მეტ დროს საჭიროებს), ფუნქციონირებისათვის გაზრდილი დანახარჯები და ა.შ.

სოფლის მეურნეობაში მეწარმეობის აღნიშნულ ფორმას დიდწილად მიმართავენ მაშინ, როდესაც რამდენიმე (ძირითადად, ორი-სამი) ფერმერი აფუძნებს სამართლებრივ იურიდიულ პირს, მისთვის დამახასიათებელი უპირატესობების მოპოვების მიზნით. მსგავს იურიდიულ ფორმას, შეიძლება, მიმართოს ერთმა ფერმერმაც, დამოუკიდებლად (შეზღუდული პასუხისმგებლობის გამო, ამჯობინოს ინდივიდუალური მეწარმის ფორმა).

✓ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)

შებლდელი პასუხისმგებლობის საზოგადოებისგან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების იურიდიული ფორმის ძირითადი განმასხვავებელი მახასიათებელია, ის, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებზე პასუხს აგებს უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის.

სხვა დანარჩენი მახასიათებლებით ეს ორგანიზაციული ფორმები ერთმანეთს ძლაზე ჰგავს.

✓ კომანდიტური საზოგადოება

კომანდიტური საზოგადოება აერთიანებს ორი კატეგორიის პარტნიორებს: პირველს მიეკუთვნებიან პარტნიორები, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებებზე მთელი თავისი ქონებით, ხოლო მეორეს — პარტნიორები, რომელთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანილი წილით.

✓ სააქციო საზოგადოება (სს)

სააქციო საზოგადოება წარმოადგენს ორგანიზაციულ ფორმას, რომელშიც საზოგადოების საკუთრება აქციონერებისაა, ხოლო ორგანიზაციის მართვას ახორციელებენ დაქირავებული მენეჯერები. ისინი, მესაკუთრეებისაგან დამოუკიდებლად, აფორმებენ სხვადასხვა მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, იხდიან გადასახადებს და სხვა. რაც მნიშვნელოვნად განასხვავებს სააქციო საზოგადოების ფორმას სხვა ფორმებისგან არის ის, რომ მისი მესაკუთრეები (აქციონერები) პირადად არ არიან პასუხისმგებლები ორგანიზაციის ვალდებულებებზე.


სააქციო საზოგადოება ხასიათდება მრავალი ფიზიკური და იურიდიული პირების ერთობლიობით (ფასიანი ქაღალდების — აქციების შექმნა). ამავდროულად, თითოეულ მათგან შეუძლია სხვა სააქციო საზოგადოების აქციების ფლობაც და ამით რისკების შემცირება.

ყველა სხვა ფორმასთან შედარებით, სააქციო საზოგადოებას ესაჭიროება მეტი დრო და თანხა რეგისტრაციისთვის. მაქინაციების რისკი ორგანიზაციის შიგნით მაღალია. ასევე, ხშირია აზრთა სხვადასხვაობა ორგანიზაციის მფლობელებსა და მმართველებს შორის. სირთულეებთანაა დაკავშირებული ორგანიზაციის ლიკვიდაცია.

✓ კოოპერატივი

კოოპერატივი, როგორც წესი, გამოიყენება მაშინ, როდესაც რამდენიმე დამოუკიდებლად მომუშავე საწარმო (ინდემნარმე) ერთიანდება რაიმე საერთო სარგებლობის მომტანი საქმიანობის განსახორციელებლად. მაგალითად, ფერმერების ჯგუფმა შეიძლება შექმნას სავაჭრო კოოპერატივი, რომელიც მათ პროდუქციას გაყიდის. კოოპერატივის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის, საქმიანობის ძირითადი მიზანი არის არა მოგების მიღება, არამედ თავისი წევრების (მეპაიეების) საქმიანობისთვის ხელის შეწყობა. კოოპერატივი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ საწარმოს ქონებით.

კოოპერატივი წარმოადგენს იურიდიულ პირს და იგი, როგორც უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.



ორგანიზაციის გამართული მუშაობისათვის მნიშვნელოვანია კარგად შედგენილი წესდება

სურათი 3-6

დაიმახსოვრე:

კოოპერატივი არის საწარმოს დაფუძნების ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს არა მოგების მიღება, არამედ თავისი წევრების (მეპაიეების) საქმიანობისთვის ხელის შეწყობა. კოოპერატივი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ საწარმოს ქონებით.

ტრაციის მომენტიდან. მსგავსად სხვა გაერთიანებებისა (შპს, სპს, ვს) კოოპერატივისთვის მნიშვნელოვან შიდა სამოქმედო დოკუმენტს წარმოადგენს წესდება, რომლითაც განისაზღვრება წევრების უფლება-მოვალეობანი, შესატანი პაის ოდენობა, კოოპერატივში განწევრიანებისა და მისი დატოვების საკითხები, კრებების გამართვის და კოოპერატივის გამართული მუშაობისათვის საჭირო სხვა ღონისძიებები.

კოოპერატივის მართვის ორგანოებია:

- ▶ **კოოპერატივის საერთო კრება** — კოოპერატივის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება, რომელიც დაკომპლექტებულია კოოპერატივის ყველა მეპაიესგან (წევრისგან). ერთ მეპაიეს აქვს ერთი ხმა. კოოპერატივის საერთო კრება ღებულობს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, მის მიერვე ხდება კოოპერატივის გამგეობის არჩევა.
- ▶ **კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭო** — კოოპერატივს შეიძლება ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო (სავალდებულო არ არის), რომლის წევრებს უფლება არ აქვთ ამავედროულად კოოპერატივის გამგეობის წევრებიც იყვნენ. სამეთვალყურეო საბჭო მართვის ყველა დარგში კონტროლს უწევს გამგეობას თავისი საქმეების წარმოებაში. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და მის ხელმძღვანელს ირჩევს კოოპერატივის საერთო კრება.
- ▶ **კოოპერატივის გამგეობა** — კოოპერატივის გამგეობასა და მის ხელმძღვანელს ირჩევს საერთო კრება. გამგეობა ხელმძღვანელობს კოოპერატივის აღმასრულებელ საქმიანობას. გამგეობის ხელმძღვანელი, კოოპერატივის სახელით, აფორმებს ხელშეკრულებებს გარეშე პირებთან.



სურათი 3-7



სურათი 3-8



გრაფიკი 3-4: კოოპერატივის მართვის სტრუქტურა

ორგანიზაციის კრებების დროს მის ყოველ წევრს ერთი ხმა გააჩნია, მიუხედავად ორგანიზაციის შიგნით, მისი ფუნქციისა, ერთი წევრი უდრის ერთი ხმას.

კოოპერატივის, როგორც მენარმეობის ფორმის განსაკუთრებული სიძლიერე მდგომარეობს იმაში, რომ მცირე ინდივიდუალურ მენარმეებს (ფერმერებს), რომელთაც მართო საქმიანობის შემთხვევაში არ შეუძლიათ მიიღონ რიგი უპირატესობები (სასურველი პირობები ნედლეულის და სხვა საჭირო საწარმო საშუალებების შესყიდვის დროს, პროდუქციის რეალიზების დროს, კრედიტის მოძიების დროს და ა.შ.), ამას ახერხებენ ერთად, კოოპერატივში გაერთიანების მეშვეობით. კოოპერატივი აღიქმება საიმედო და საპატიო პარტნიორად ფულად-საკრედიტო ინსტიტუტებისთვის, სხვადასხვა ნედლეუ-

ლის და საწარმოო საშუალებების მწარმოებელი/რეალიზატორი კომპანიებისთვის. პროდუქციის რეალიზების დროს კოოპერატივში განვერსიანებულ სუბიექტებს მეტი ბერკეტი გააჩნიათ გავლენა მოახდინონ ბაზარზე, არსებულ მყიდველებზე და პროდუქცია მათთვის შედარებით ხელსაყრელ პირობებში გაყიდონ. მაგალითად, ფერმერისთვის შეიძლება საინტერესოა, რომელიმე დიდ სავაჭრო ქსელში შეიტანოს მის მიერ წარმოებული პროდუქცია, თუმცა მის ხელთ არსებული რესურსებით არ შეუძლია აწარმოოს პროდუქციის ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია მოცემულ ქსელში პროდუქციის შეტანისათვის-თანამშრომლობისათვის.

სიძლიერესთან ერთად მსგავს გაერთიანებას ახასიათებს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც. გადაწყვეტილების მიღების პროცესი ხანგრძლივია, რთულია შეთანხმების მიღწევა (მაგალითად, წარმოებული პროდუქციის საერთო სტანდარტის განსაზღვრა) და მისი დაცვა და სხვა.

1.1.1 სასოფლო – სამეურნეო კოოპერატივი

ქვეყანაში, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მიღებულ იქნა კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ (2013 წლის 12 ივლისს), რომლის ფარგლებში დაფუძნდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო.

აღნიშნული სააგენტოს მთავარ მიზნებს წარმოადგენს:

- ▶ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების გზით სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ხელშეწყობა;
- ▶ სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა;
- ▶ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარი-ანობის გაუმჯობესება, წარმოების რენტაბელობის ამაღლება და ეროვნული ეკონომიკის განვითარება;
- ▶ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფოს ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება და სხვა.


სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, ახლად შექმნილ ან არსებულ კოოპერატივებს (სურვილისა და მზაობის შემთხვევაში) ანიჭებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსს, შეჰყავს ისინი ერთიან მონაცემთა ბაზაში, ახორციელებს მათ ზედამხედველობას, გეგმავს და ატარებს მთელ რიგ სახელმწიფო მხარდაჭერ ღონისძიებებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არის კოოპერატივის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ახორციელებს და რომელსაც კანონის შესაბამისად, მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიე შეიძლება იყოს 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე ან/და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს საპაიო შენატანს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა იმ დასახლებებში, სადაც ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე – 5-ზე ნაკლები.


სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის სფეროებია:

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, გადამამუშავება, დაფასოება, შეფუთვა, შენახვა, გადამიღვა და რეალიზაცია.



კოოპერატივ გააჩნია როგორც ძლიერი მხარეები, ასევე სისუსტეები

სურათი 3-9



სააგენტოს მიზანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის აღორძინება, კოოპერატივების განვითარების გზით

სურათი 3-10

დაიმახსოვრე:

ფერმერთა კოოპერატივი ეს არის საერთო ინტერესებისა და პრობლემების მქონე ფერმერთა ნებაყოფლობითი გაერთიანება (დარეგისტრირებული, როგორც სამეწარმეო რეესტრში, ასევე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზაში), რომლებიც შეკავშირდნენ იმისათვის, რომ ერთობლივი საქმიანობით მიაღწიონ უფრო მეტ წარმატებას, ვიდრე ამას დამოუკიდებლად შეძლებდნენ.



გრაფიკი 3-5: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ძირითადი მახასიათებლები

კოოპერატივი ნებაყოფლობითი გაერთიანება არის და აუცილებლობას არ წარმოადგენს მისი წევრების საკუთრებაში არსებული ქონების გაერთიანება (კოოპერატივის წევრების სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია). თუ კოოპერატივის რომელიმე წევრი ჩათვლის, რომ მას დამოუკიდებლად შეუძლია უკეთესი შედეგების მიღწევა, ვიდრე კოოპერატივთან ერთად, შეუძლია, ნებისმიერ დროს მისი დატოვება (კოოპერატივის წესდების, ან სხვა შიდა შეთანხმებების შესაბამისად). სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიზანს წარმოადგენს, მისი წევრების (ფერმერების) წინაშე მდგარი სერთო პრობლემების (ეკონომიკური, საგანმანათლებლო და ა.შ.) მოგვარება, იგი მიზნად სხვა (პოლიტიკური, რელიგიური და ა.შ.) ინტერესებს არ ისახავს. ისევე, როგორც კოოპერატივში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივშიც მის ყველა წევრს გააჩნია ხმის თანაბარი უფლება, მიუხედავად კოოპერატივში მათი შენატანებისა, ან იქ განხორციელებული საქმიანობისა, ერთი წევრი — ფერმერი უდრის ერთი ხმას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრებს შორის მიღებული მოგების განაწილება დამოკიდებულია, როგორც კოოპერატივში შეტანილ პაიზე, ასევე შესრულებული სამუშაოს მოცულობაზე. რაც შეეხება ბარალს (ასეთის დადგომის შემთხვევაში), ან სხვა პასუხისმგებლობას, კოოპერატივის ნებისმიერი წევრი იზიარებს მხოლოდ მის მიერ შეტანილი პაის/წილის ოდენობით, პასუხისმგებლობა მათ პირად ქონებაზე არ ვრცელდება.

კოოპერატივის წევრებზე მოგების, ბარალისა და სხვა პასუხისმგებლობის საკითხები, როგორც წესი, ორგანიზაციის წესდებაში თავიდანვე დეტალურად უნდა გაიწეროს. ასევე საქმიანობის დასაწყისშივე უნდა მოხდეს კოოპერატივის სამოქმედო გეგმის (ბიზნეს-გეგმის) ჩამოყალიბება, რათა მიღწეულ იყოს ორგანიზაციისა და თითოეული მისი წევრი-ფერმერის წარმატება, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მართვის სტრუქტურა იგივეა.

სხვადასხვა ქვეყანაში სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმები გვხვდება. მაგალითად, ისრაელში გავრცელებულია კიბუცები და მოშავები, საფრანგეთში ცნობილი კოოპერატივის ფორმაა — ფრანგული გაეკი და სხვა.

**სანარმო დან.
კოოპერატივი**

**მანქანა-
დანადგარების
კოოპერატივი**

**ს.ს. სააშუალებებით
მომარაგების
კოოპერატივი**

**მარკეტინგული
კოოპერატივი**

**მრავალ-ფუნქციური
კოოპერატივი**

სურათი 3-11

ძირითადად დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, გვხვდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემდეგი ფორმები:

✔ **სანარმოო დანიშნულების კოოპერატივი** — ძირითადად ორიენტირებულია წევრების მიერ წარმოებული პროდუქციის გადამუშავებასა და სასაქონლო სახის მიცემაზე;

✔ **მანქანა დანადგარების კოოპერატივი** — წევრ ფერმერებს საშუალებას აძლევს, საჭიროების დროს, მიიღოს ტექნიკისა და სხვა მანქანა-იარაღების მომსახურება ხელსაყრელი პირობებით;

✔ **წარმოების საშუალებებით მომარაგების კოოპერატივი** — უზრუნველყოფს კოოპერატივში განეწვრიანებულ ფერმერების მომარაგებას საჭირო სანარმოო საშუალებებით (სათესლე მასალა, შხამ-ქიმიკატები და სხვა) უკეთესი პირობებით, ვიდრე ამას ცალკე მომუშავე ფერმერი შეძლებდა;

✔ **მარკეტინგული კოოპერატივი** — უზრუნველყოფს ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციის ბაზრისთვის (სამიზნე სეგმენტისთვის) მიწოდებას, მისი წევრი ფერმერებისთვის პროდუქციის რეალიზაციაზე ხარჯების და დროის დაზოგვით.

✔ **უნივერსალური (მრავალფუნქციური) კოოპერატივი** — კოოპერატივის ფორმა, რომელიც პრაქტიკულად, ზემოთ განხილულ კოოპერატივის ყველა ფორმას აერთიანებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ძირითადი დადებითი მახასიათებლებიდან შეიძლება გამოვყოთ:

- ▶ ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობით სტაბილურ ბაზარი უფრო ხელმისაწვდომია;
- ▶ ერთიანი საბითუმო შესყიდვები: დაბალი ფასი საჭირო აგრო თუ სხვა მასალების შესყიდვისას;
- ▶ ინდივიდუალურად (ცალ-ცალკე) — გლეხების საქმიანობა წარიმართება შედარებით დაბალტექნოლოგიურ დონეზე. ძალთა გაერთიანებით კი შესაძლებელია ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;

ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება.



სურათი 3-12

- ▶ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, როგორც გაერთიანება, კრედიტუნარიანად ითვლება და საკრედიტო რესურსი მისთვის უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე განცალკევებული სუბიექტისთვის, ფერმერისთვის;
- ▶ სახელმწიფოს მხრიდან მოქმედებს მრავალი მხარდამჭერი და საშეღავათო პროგრამები.

ამავდროულად, მას ახასიათებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაკლოვანებაც:

- ▶ წევრების განსხვავებული ინტერესებიდან და ხედვებიდან გამომდინარე, არსებობს კონფლიქტური სიტუაციების მაღალი ალბათობა;
- ▶ შემოსავლების და ხარჯების განაწილების პრობლემები;
- ▶ ინდივიდუალურ მენარმესთან შედარებით, განეწვრიანებული ფერმერების დაბალი მოტივაცია, იყვინენ ყოველთვის გამრჯეები.

კოოპერატივის სხვადასხვა ფორმა ფართოდაა განვითარებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ამ კუთხით, განსაკუთრებით გამოირჩევა სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნები: გერმანია, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ისრაელი და სხვა, რაც მოწმობს სოფლის მეურნეობის განვითარებაში სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების დიდ როლსა და მნიშვნელობას.

1.2 სად და როგორ რეგისტრირდება სამეწარმეო საქმიანობა

საქართველოს კანონმდებლობით მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაცია, ან დარეგისტრირებულში რაიმე სახის ცვლილების შეტანა შესაძლებელია ნებისმიერ იუსტიციის სახლსა ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში. ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში, დარეგისტრირებულის მხრიდან საჭიროა, განცხადების შევსება და პირადობის მოწმობის წარდგენა, სხვა იურიდიული ფორმების შემთხვევაში, საჭიროა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა, რომელთაგან გამოვყოფთ წესდებას.



სურათი 3-13

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც არის 18 წლის შეუძლია, მეწარმე იურიდიული პირი გახდეს (არსებობს გამონაკლისებიც). ნებისმიერი სამეწარმეო ფორმის დარეგისტრირება შესაძლებელია ერთ სამუშაო დღეში ან დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ დაჩქარებული წესით;.

საწარმოს იურიდიულ-სამართლებრივი ფორმები, რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურები, დოკუმენტების ჩამონათვალი და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის რეგისტრაცია ხორციელდება ჯერ სამეწარმეო რეესტრში, ხოლო შემდეგ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზაში, რისთვისაც აუცილებელია:

- ▶ განაცხადი სააგენტოს სახელზე;
- ▶ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ;
- ▶ კოოპერატივის საკუთრებაში არსებული ქონების ან მიწის არსებობის შემთხვევაში, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და
- ▶ კოოპერატივის წესდება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დაფუძნება შეუძლიათ 18 წელს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ამ კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობენ პაის.

1.3 გადასახადის სახეები, მათი განაკვეთები და გადახდის ვადები

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია შემდეგი სახის გადასახადები, რომელთაც განვიხილავთ მხოლოდ რეზიდენტი (ქვეყანაში მუდმივად რეგისტრირებული, მცხოვრები პირი ან პირი, რომელიც 182 დღეზე მეტ ხანს იმყოფება საქართველოში ნებისმიერ 12 თვიან პერიოდში) პირების მიმართ:

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)
საშემოსავლო გადასახადი
აქციზის გადასახადი
მოგების გადასახადი
ქონების გადასახადი

გრაფიკი 3-6: საქართველოში მოქმედი გადასახადის სახეები

✓ დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)

მენარმე იურიდიული პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და მის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა), ვალდებულია, დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად. დღგ-ს განაკვეთი შეადგენს მისი დასაბეგრი ბრუნვის 18%-ს. მისი გადამხდელი ვალდებულია, წარადგინოს დღგ-ის დეკლარაცია ყოველ საანგარიშო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადოს დღგ.

✓ საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი წარმოადგენს სხვაობას კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლსა და ხარჯების თანხებს შორის.

წლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვადა (შემოსავლების სამსახურში) არის მომდევნო წლის 01 აპრილამდე, წლიური საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვადაც განისაზღვრება მომდევნო წლის 01 აპრილამდე.

დასაბეგრი შემოსავლის დეკლარაციას წარადგენს მენარმე ფიზიკური პირი, რომელიც დაქირავებულ პირთა შრომას იყენებს ან/და გადამხდელად არარეგისტრირებული ფიზიკური პირისგან ყიდულობს მომსახურებას და გადასახადს უკავებს შემდეგი განაკვეთით: ხელფასი 20%; როიალტი 20%; პროცენტის სახით განაცემი 5%.

მენარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებული არიან მიმდინარე გადასახადების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- ▶ არა უგვიანეს 15 მაისისა — 25%;
- ▶ არა უგვიანეს 15 ივლისისა — 25%;
- ▶ არა უგვიანეს 15 სექტემბერისა — 25%;
- ▶ არა უგვიანეს 15 დეკემბერისა — 25%.

გარკვეული შემოსავლებზე კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეღავათები, ან მათი გადახდის მექანიზმის ცვლილება. ის შეღავათები, რომლებიც



შემოსავლის სამსახური

საგადასახადო საკითხებთან მიმართებაში კითხვების არსებობის შემთხვევაში მიმართეთ - შემოსავლების სამსახურს

სურათი 3-14



კომპანიის წარმატებული მუშაობისათვის მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს: როდის? რა სახის? და რა ოდენობის? გადასახადებია გადასახდელი

სურათი 3-15

მნიშვნელოვანია სოფლის-მეურნეობაში განვიხილავთ 3.3.1 ქვეთავში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კონსტიტუციით, ჩვენ მიერ განხილული გადასახადების გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით.



აქციზის გადასახადი

აქციზის გადასახადი ეხება მხოლოდ იმ მენარმე პირებს, რომელთა სამენარმეო საქმიანობა დაკავშირებულია აქციზური საქონელთან — ალკოჰოლი, სიგარეტი, ნავთობპროდუქტები, მობილური საკომუნიკაციო მომსახურების განვვა და სხვა (მისი წარმოება, იმპორტი, ექსპორტი და ა.შ.).

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში აღნიშნული გადასახადი, მცირე გამო-ნაკლისების გარდა, პრაქტიკულად არ ფიგურირებს ფერმერის ვალდებუ-ლებებში, თუ მეურნეობის მიერ არ ხდება ხდება, როგორც ყურძნის წარმო-ება, ასევე მისი გადამუშავება და სხვადასხვა სახის ალკოჰოლური პროდუქ-ციის წარმოება, ან თამბაქოსგან სიგარეტის წარმოება.

აქციზის გადასახადის ოდენობა და ვადები, პროდუქტის სახეობებიდან გა-მომდინარე, განსხვავებულია.



მოგების გადასახადი

საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 პროცენტით, თუ კანონით რაი-მე გამონაკლისი არ არის გათვალისწინებული. მოგების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვადა (შემოსავლების სამსახურში) არის მო-მდევნო წლის 01 აპრილამდე, მოგების გადასახადის გადახდის ვადაც გა-ნისაზღვრება მომდევნო წლის 01 აპრილამდე.

მიმდინარე გადასახდელების გადახდა ხდება გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით: ა) არა უგვიანეს 15 მაისისა - 25 %; ბ) არა უგვიანეს 15 ივლისისა - 25 %; გ) არა უგვიანეს 15 სექტემბრისა - 25 %; დ) არა უგვიანეს 15 დეკემბრისა - 25 %.

რაც შეეხება მოგების გადასახადს, ამხანაგობის ან სხვა ანალოგიური წარმო-ნაქმნის დროს (მაგალითად, კოოპერატივი), ის წილის შესაბამისად მიეკუთ-ვნება მათ მფლობელებს (წევრებს) და ითლება მათ ერთობლივ შემოსავალში.



ქონების გადასახადი

რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია ქონების გადასახადს იხდის თავის ბალა-ნსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყო-ბილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე.

საწარმო/ორგანიზაცია ქონების გადასახადის დეკლარაციას წარადგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 აპრილისა და გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 აპრილისა. მიმდინარე გადასახადის სახით, კი არა უგვიანეს — საგადასახადო წლის 15 ივნისისა. მიწაზე ქონების გადა-სახადის დროს, საწარმო დეკლარაციას წარადგენს 1 აპრილამდე, ხოლო გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა.

საწარმოს/ორგანიზაციის ქონების გადასახადი შეიძლება იყოს მაქსიმუმ 1% (ქონების ღირებულების). მიწაზე გადასახადის საბაზისო განაკვეთი შეადგე-ნს (არასასოფლო-სამეურნეო) 0.24 ლარს მ2-ზე და მრავლდება ტერიტო-რიული ერთეულის კოეფიციენტზე, რომელიც არ შეიძლება იყოს 1.5-ზე მეტი. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემთხვევაში საბაზისო განაკვეთი შეადგენს:

- ▶ **სათიბები და საძოვრები** — 1.5 ლარიდან 20 ლარამდე;
- ▶ **სახნავი და საკარმიდამო** — 50 ლარიდან 100 ლარამდე;

მნიშვნელოვანი საგადა-სახადო ტარიფები:

საშემოსავლო გადასახადი - 20 %
 მოგების გადასახადი - 15 %
 დღგ - 18 %
 ქონების გადასახადი - 1 % (მაქს.)

კითხვები შემონებისთვის:

- სამენარმეო საქმიანობის (ბიზნესის) ორგანიზების, რომელი სამართლებრივი ფორმები არსებობს საქართველოში?
- ვინ არის ინდივიდუალური მენარმე (მაგ. ფერმერი)? რა სახის დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია სამენარმეო საქმიანობის აღნიშნულ ფორმას?
- როგორ ხასიათდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება?
- რას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი? აღწერეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.
- სად და როგორ რეგისტრირდება სამენარმეო საქმიანობა საქართველოში?
- რა სახის გადასახადები არსებობს, როგორი არის მათი განაკვეთი და როდის ხდება მათი გადახდა?
- გაიხსენეთ არსებული საგადასახადო შეღავათები მიკრო — მცირე ბიზნესსა და სოფლის მეურნეობაში.

საგადასახადო განაკვეთი განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საბაზისო განაკვეთის 150 %-ს. განაკვეთის განსაზღვრის დროს, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ხარისხობრივი მაჩვენებლებით. 5 ჰექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგული გათავისუფლებულია მიწაზე ქონების გადასახადისგან (2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით).

1.3.1 არსებული საგადასახადო შეღავათები მიკრო — მცირე ბიზნესში და სოფლის მეურნეობაში

მიკრო ბიზნესი სტატუსის მქონე პირები არ იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით.

დაიმახსოვრე:

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირები სარგებლობენ დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმით.

დაიმახსოვრე:

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მენარმე ფიზიკურ პირს, რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

დაინტერესებულ პირებს მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსს საგადასახადო სამსახურიანიჭებს. ზემოთ მითითებული სტატუსის პირები ყოველი წლის 1 აპრილისთვის წარადგენენ საშემოსავლო გადასახადის გამარტივებულ დეკლარაციას. სტატუსი წყდება დადგენილი შემოსავლის ზღვრის გადაჭარბებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა საკითხების დარღვევის შემთხვევაში.

განსაკუთრებული შეღავათები სოფლის მეურნეობაში ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე, რომლებიც 2017 წლამდე სარგებლობდნენ შემდეგი საგადასახადო შეღავათებით:

- ▶ არ იბეგრება კოოპერატივის მოგება;
- ▶ არ იბეგრება მიღებული გრანტები და სანჯვრო შენატანები;
- ▶ არ იბეგრება საკუთრებაში არსებული (მიწის გარდა) და მასზე ლიზინგით გადაცემული ქონება;
- ▶ არ იბეგრება კოოპერატივის მიერ კოოპერატივის წევრებზე განეული მომსახურება.

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების პროდუქცია ამ ეტაპზე გათავისუფლებულია როგორც საშემოსავლო გადასახადიდან, ასევე -დღგ-სგან (გარკვეული გამონაკლისების გარდა).

დავალებები გავლილი მასალის გასამტკიცებლად:

- ▶ ვირტუალურად ჩამოაყალიბეთ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი, გაიარეთ მისი რეგისტრაციის ყველა კანონით გათვალისწინებული საფეხური;
- ▶ მოიძიეთ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის წესდების ნიმუში (მაგალითად: <http://acda.gov.ge/index.php/geo/static/88>) და მიუსადაგეთ იგი თქვენს ვირტუალურ კოოპერატივს.

სასწავლო კურსის მიზანი:

სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებმა სიღრმისეულად შეისწავლონ სამეწარმეო საქმიანობის არსებული ფორმები, გაითავისონ მათი საქმიანობასთან სწორად შესაბამისობის მნიშვნელობა, თითოეული სამეწარმეო ფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები. გაერკვიონ საგადასახადო ვალდებულებებში, მათ განაკვეთებსა და გადახდის ვადებში.

სწავლის შედეგი:

სასწავლო კურსის წარმატებით გავლის შემდეგ მსმენელი შეძლებს სამეწარმეო საქმიანობას მიუსადაგოს მისთვის შესაბამისი იურიდიული ფორმა. გაიანგარიშებს და დაგეგმავს გადასახადის მოცულობასა და ვადებს. შეძლებს სამეწარმეო საქმიანობისთვის საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებასა და მათ შესაბამის სამსახურებში წარდგენა-დარეგისტრირებას.